# ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა **1901** კვირა, 29 აპრილი **№ 1450**

...ზეთი დირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ...ებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.
...ის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ...ს ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგო-...იოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.
**რედაქციის კანტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"—„Моамбе". **ტელეფონი № 372.**



## სახალხო სეირნობა
### საქველ-მოქმედო ბაზრითურთ.

...თველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" მიერ განზრახული ...ხო სეირნობა საქველ-მოქედო ბაზრითურთ გაიმართება 6 მაისს. შემოწირულებათა ...მოგზავნა ამ ბაზრისთვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნი-...ოოზის ქუჩა, № 21, და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზო-...ების" კანცელარიაში, სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურთა ქარვასლაში.

## ქართული თეატრი
ქართული დრამატიული საზოგადოება
**კვირას, 29 აპრილს,**
✿ გ. ნ. სუნდუკიანცის კომედიის «პეპო»-ს 30 წლის სახსოვრად ✿
გამართავს **სადღესასწაულო წარმოდგენას.** წარმოდგენილი იქნება

I

## პეპო

კომედ. 3 მოქ. თხზ. გ. ნ. სუნდუკიანცისა.
...ნაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. საფაროვისა, გაბუნია-ცაგარლისა, ნებიერიძე; ბ.ბ. ყიფიანი, აბაშიძე, მესხი, სვიმონიძე, გედევანოვი და სხვ.

II

გ. ნ. სუნდუკიანცის პატივსაცემლად გაიმართება აქტი.
...ილების ფასი მომატებულია. დასაწყისი სწორედ $8^1/_2$ საათზე.
ბილეთები ისყიდება ყოველ დღე კასსაში.
გამგენი: **ვ. აბაშიძე** და **ძ. მესხი.**

## ტფილისის კერძო
## სამკურნალო
**მიხაილ გედევანიშვილისა.**
...მყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა,
**დილით:**
...ი. ჭიჭინაძე — კბილის სნეულებანი 8— ...საათამდე.
...ხეილ ა. გედევანიშვილი — ნერვებისა და ...ობა ელექტრობით— 9—10 ს.
...ა მუღინი—ყურისა, ყელისა და ცხვირი- ...11—12 საათამდე.
...ვ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი ...—12 საათამდე.
ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 ს.
ქქიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვებისა 11—12 ს.
დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—12—1 საათამდე.
ვ. დ. მარკევიჩი—სადოსტაქრო— $12^1/_2$ $1^1/_2$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.
ი. დ. ბეკთაბეკოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათამდე.
**საღამოთი:**
ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი —5—6 საათამდე.
ა. ა. ბელოკოლოვი.—შინაგანი (სტომაქის ავათმყოფობანი) და ფიზიკო-ქიმიური გამოკვლევანი.—5—6 საათზე.
გ. მაღალაშვილი—კვირაობით—10—12 ს.
სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ.; ოპერაციები — მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.
ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ). ტელეფონი № 274. (წდ.)


### ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი

სთხოვს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთ, რომელთაც ხმა აქვთ თავად-აზნაურობის კრებაზე დასწრებისა, მობრძანდნენ დღეს, 29 აპრილს, შუადღის 12 საათზე, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში, სადაც ამ დღეს დანიშნულია

**თავად-აზნართა საგანგებო კრება.**

კრების განსახილველი საგნებია: მოხსენება სარევიზიო კომისიისა სათავად-აზნაურო მამულის გამგეობის მოქმედების შესახებ; ახალი დებულება ამ მამულის მართვა-გამგეობისა; არჩევანი მამულის გამგეობის ახალის წევრებისა; ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის დამფუძნებელთათვის დასაბრუნებელ ფულების შესახებ; დეპუტატთა საკრებულოს საქმის წარმოება და მოხელეები; ქართულ დრამატიულ საზოგადოების პრეტენზია სათავად-აზნაურო მამულის გამგეობისადმი. (ნ. 3—3)

### თავად-აზნაურთა კრების გამო.

—

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებას, რომელიც დანიშნულია დღეს, 29 აპრილს, მაინცა და მაინც საყურადღებო საგნები არა აქვს განსახილველი. მომეტებულს ყურადღებას იწვევს მხოლოდ თავად-აზნაურობის ტფილისის მამულის მართვა-გამგეობის საქმე.

კარგა ხანია, რაც ეს მამული (არცრუნისეული ქარვასლა) გადვიდა თავად-აზნაურობის ხელში, მაგრამ არ იქნა და ვერ მოწესრიგდა მისი მართვა-გამგეობა! თავ და პირველად მისი მართვა ჩაჰბარდა განსაკუთრებულ კომისიას; რამდენიმე წლის შემდეგ საზოგადოებაში უკმაყოფილება დაიბადა და შეიქნა ლაპარაკი, რომ საჭიროა შეიცვალოს მამულის მართვა-გამგეობის ორგანიზაციაო. მაშინ შემუშავდა განსაკუთრებული პროექტი, რომელიც დამტკიცებულ იქმნა თავად-აზნაურობისაგან. ამ ახალის პროექტით, დაწესდა ორი მმართველი ორგანო: ზედამხედველი კომიტეტი და გამგეობა. ამგვარმა რთულმა ორგანიზაციამ პირველადვე გამოიწვია ზოგიერთთა წინააღმდეგობა; ისინი ამბობდნენ, რომ ისეთს ცოცხალსა და ამასთანავე შედარებით მარტივს საქმეს, როგორც არის ქარვასლის მართვა, სრულიად არ შეეფერება მეტად რთული ორგანიზაცია, რომ ეს მხოლოდ დააბრკოლებს საქმეს და ნამდვილად მამულის პატრონს-ზედამხედველი არ ეყოლებაო.

პრაქტიკამ მალე გაამართლა ეს მოწინააღმდეგენი. აღმოჩნდა, რომ ქარვასლის მართვა-გამგეობის საქმე ისევ ცუდად მიდის, რომ რამდენიმე პატრონს ვერ მოეხერხებინა ნამდვილი პატრონობა გაეწია მამულისათვის, რომ ორგანოთა შორის უთანხმოება და ცუდი განწყობილება ჰსუფევდა და სხვა. მალე მართვა-გამგეობის ორგანიზაცია სრულიად დაიქსაქსა, და თავად-აზნაურობას დღესაც იგივე საგანი აქვს განსახილველი.

აწინდელ ორგანიზაციის სისუსტე, სხვათა შორის, ნათლად დაამტკიცა თეატრის რემონტის საქმემ. თავად-აზნაურობის გარდაწყვეტილებით, ქარვასლის მმართველთ ნება არ ჰქონდათ არავითარი შენობის აგებისა ან კაპიტალურ რემონტის მოხდენისა. მაგრამ მათ შენობაც ააგეს და ზედ დიდი ფულიც დახარჯეს. როგორ მოხდა ეს? ვინ და-

## ფელეტონი

* *
*

(ჰეინედან)

ვინ შემედრება მაშინ მე,
...სტრფოვ, როცა ხარ ჩემთანა!
...გული გარდივით მეშლება,
...მზად გარ გიყიდო ქვეყანა.

მაგრამ რო წასვალ და მკერდზედ
...ღარ გგრძნობ ნაზსა ხვევნასა,
...სწყლადა გრჩები, ღარიბად:
...ვკარგავ სიმდიდრეს, ლხენასა.

სა.

—

**პანოპტიკუმ**

5.

XIX-ე საუკუნეს ცნობილმა ინგლი-...ს პროფესორმა უოლესმა სასწაულთა ...უნე უწოდა. მართლადაც სასწაულთა ...უნე იყო წარსული საუკუნე: წელიწა-...რ გაივლიდა ისე, რომ ხან ედისსონსა, ...თას სხვა გამომგონელს რითიმე არ ...რვებინათ კაცობრიობა. მომავალი ...უნე ამ მხრივ ხომ, ალბად, სულ გა-...ცებს. ამ დღეებში, მაგალითად, გაზე-... გვაცნობეს, რომ ერთს გერმანელს ...გელერს ბრმა ბავშვისათვის თვალები ...ინებია. ასეც რომ არ იყოს, ე. ი. ამ საუკუნეს რომ არ დაჰყვეს კიდეც წარსულის საუკუნის სასწაულებრივი ხასიათი, მისი დამდეგი მაინც კიდევ გაგრძელებაა წარსულის საუკუნისა და ამას თვით ფაქტებიც გვიმტკიცებენ. ერთი ფაქტი მოგახსენეთ კიდეც—ეს ექიმის გელერის აღმოჩენა. აი მეორეც, უფრო საინტერესო და უფრო გამაოცებელი. აქამდის ყოველივე საექიმო აღმოჩენა, როგორც ვუწყით, მიმართული იყო იმისკენ, რომ როგორმე შეემცირებინა ავადმყოფთა რიცხვი, გაეადვილებინა ავადმყოფობისაგან განკურნება და საზოგადოდ ჰშველოდა ტანჯულს კაცობრიობას. უკანასკნელმა აღმოჩენამ კი, რომელიც ეკუთვნის ერთ-ერთს ტფილისელ ექიმს, აუარა გვერდი არსებულს პრინციპს, ამ ვაჟბატონს სრულებით ახალს პრინციპზე დამყარებული დოსტაქრობა აღმოუჩენია. ეს პრინციპი—ცემა-ტყეპა ყოფილა. ამას წინად მას საშინლად უცემნია ერთი პატარა ბავშვისათვის და მეორე სართულის აივნიდან მისი გადმოგდებაც მოუნდომებია (რასაკვირველია, ხელით, რაც გინდათ სცემოდ კაცს, იმდენად ვერ დაიბეგვება, როგორადაც ზემო სართულიდან გადმოვარდნით), მაგრამ ბავშვის პატრონთ ამ ახალ გვარის დოსტაქრის სისტემა იმდენად აღარ მოსვლიათ ჭკუაში და გადასაგდებად აღარ დაუნებებიათ ბავშვი. ნეტა რა ავადმყოფობა უნდა იყვეს, ცემა რომ უხდება? ამას ბ. ექიმი გ..., ალბად, სასამართლოში განმარტავს.

* *
*

როგორც ხედავს მკითხველი, ახალი საშუალება ექიმის გ...სა ვერაფრად საამოა, მარგებელიც რომ იყვეს. აი სულ სხვაა ნატახტარის წყაროების გამოსაკვლევად ამორჩეულ კომისიის აღმოჩენა. ეს აღმოჩენა მეტად მოეწონება, ალბად, ჩვენებურს მოქეიფე ძმა-ბიჭებს. ამათ გამოუკვლევიათ, რომ შამპანურ ნუნუას ვერც ერთი წყაროს წყალი ვერ შეედრება დედა-მიწის ზურგზე. აგერ ექვსჯერ იყო მაინც გამოცხადებული გაზეთებში, კომისია ნატახტარს წავიდა იქაური წყაროების წყალის გამოსაკვლევადო; არის იქ წყალი, და თუ არის, რამდენი ან როგორი? ამისი ჯერ ვერა გავიგეთ-რა. შამპანური კი ბლომად დალიესო, გვეუბნებიან. ნეტა შამპანურის წყაროები ხომ არ არის ნატახტარში? თუ ტფილისის მალაზიებიდან ეზიდებიან შამპანურს? ვისის ხარჯით? კომისია თავის ფულს იხდის შამპანურში, თუ ამისათვის რამე კრედიტი აქვს გახსნილი ტფილისის ქალაქის გამგეობას თავის კასსაში? ჩვენ, ბატონო, წყალსაც აღარ გვაღირსებენ ალბად ამ ზაფხულს შარშანდელსავით და თითონ კი შამპანურს მიირთმევენ. კარგია სწორედ, მაგრამ ვისთვის?..

* *
*

გაზეთ „ნოვ. ობოზრ." ვკითხულობთ: „ჭიათურის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში ჩაწერილა 30 კაცამდე, რომელთაც 6000 მანათი შეუტანიათ. ბანკი გაიხსნება, როდესაც 10,000 მანეთი შეგროვდება. თავმჯდომარეთ ასახელებენ ბ. თუმანიშვილსაო".

ჭიათურა—ამ ოცის წლის წინად პატარა მიყრუებული სოფელი იყო და მისი სახელი მაშინ შეიძლება ბევრს ქუთათურსაც არ გაეგონა. დღეს ეს სოფელი ბაქოს შემდეგ უმთავრესი სამრეწველო ადგილია ჩვენს მხარეში. იქ, სადაც ამ ოცის, ოცდახუთის წლის წინად ორიოდ გლეხს თუ დაინახავდით ვიწრო ბილიკით მიმავალს, ეხლა მიდი-მოდის ორთქლ-მავალი და მიეზიდება მრავალს შავის ქვით დატვირთულს ვაგონს, ირევა სხვა და სხვა რჯულის ხალხი, ისმის სხვა და სხვა უცხო ენა, არსებობს საავადმყოფო და აგერ საკრედიტო დაწესებულების გახსნასაც აპირებენ. მართალია, სოფელ ჭიათურის ზრდა არა ჰგავდა სამხრეთ აფრიკის იოჰანესბურგისა და ამერიკის კლონდაიკის ზრდას, მაგრამ მაინც კიდევ, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო ჩვენში ეხლანდელის პირობების მიხედვით, ს. ჭიათურა ჩქარა და დიდად გაიზარდა. ყველა ამგვარ ადგილს აქამდის გაიხსნებოდა საკრედიტო დაწესებულება და ჭიათურაში კი მხოლოდ ეხლა აარსებენ ამგვარ დაწესებუ-

არღვია თავად-აზნაურობის დადგენილება? ეს და სხვა საკითხები წამოაყენა თავად-აზნაურობის შარშანდელმა კრებამ და უწყებათა განსახილველად საგანგებო სარევიზიო კომისიაც დანიშნა. დღეს კრებას მოხსენდება ამ კომისიის მოხსენება და ამასთანავე ახალი პროექტი მართვა-გამგეობის მოწყობისა. სჩანს, მამულის მმართველნი თვით დარწმუნებულან, რომ მომქმედი დებულება მეტად რთული და უვარგისია, რომ «у семи нянекъ дитя безъ глазъ...»

ჩვენ არ ვიცით, როგორია ახალი პროექტი; შეიძლება იგი კიდევ უფრო რთულ ორგანიზაციას აწესებს, მაგრამ, ჩვენ გვგონია, ამით საქმე გაფუჭდება და უმჯობესია—ქარვასლის მართვა ერთ დაქირავებულ კაცს ჩაებაროს. ერთი მუყაითი, გამოცდილი და პატიოსანი მმართველი უფრო უკეთესად მოუვლის მამულს, ვიდრე სხვა და სხვა გვარი კომიტეტ-გამგეობანი. რასაკვირველია, ეს მმართველი უკანტროლოდ ვერ იმოქმედებს და ამიტომ მის უახლოვეს კონტროლერად უნდა დაინიშნოს დეპუტატთა საკრებულო, რომელიც შეიმუშავებს მისთვის ინსტრუქციასა და თვალ-ყურს ადევნებს მის მოქმედებას.

ჩვენ იმიტომ ვესაუბრებით მკითხველთ ამ მამულის მართვა-გამგეობის საქმეზე, რომელიც პირველ შეხედვით არ შეადგენს საზოგადოებისათვის საყურადღებო საგანს, რომ ამ მამულზე თავად-აზნაურობას დიდი იმედი აქვს დამყარებული. მამული მეტად ძვირფასია, მისი შემოსავალი მომავალში ბევრ სასარგებლო საქმეს აღმოუჩენს დახმარებას; თუ საქმე რიგიანად იქმნა წაყვანილ-დაყენებული, მისი წმინდა შემოსავალი ბევრად არ ჩამოუვარდება ბანკის შემოსავლის იმ ნაწილს, რომელიც საზოგადო საჭიროებას ხმარდება. მაშასადამე, მამულის მართვის საქმე იმაზე ბევრად ნაკლებ ყურადღებას არ უნდა იწვევდეს საზოგადოებაში, ვიდრე ბანკისა იწვევს; ხოლო თავად-აზნაურობის კრებას ჰმართებს დინჯადა და კარგად გაითვალისწინოს თავის ქონების სვე-ბედი და რიგიანად მოაწყოს მისი მართვა-გამგეობის საქმე.

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

27 აპრილი.

**პეტერბურგი.** 27 აპრილს საზღვარ-გათიდან ჩამოვიდა თავადი ევგენი მაქსიმილიანესძე რომანოვსკი, ჰერცოგი ლეიხტენბერგისა.—27 აპრილს ღვთივ განსვენებულის მემკვიდრე ცესარევიჩის გიორგი ალექსანდრეს ძის დაბადების დღეს, რუსეთის საიმპერატორო სახლის აკლდამაში გადახდილ იქმნა წირვა და მცირე პანაშვიდი. წირვას დაესწრნენ ხელმწიფე იმპერატორი, დედოფლები მარიამ თეოდორეს ასული და ალექსანორა თეოდორეს ასული, დიდი მთავრები კირილე, ბორისი და ანდრია ვლადიმერის ძენი, კონსტანტინე კონსტანტინეს ძე უავგუსტოესის მეუღლით, დიმიტრი კონსტანტინეს ძე, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, გიორგი და სერგი მიხეილის ძენი, თავადი ალექსანდრე გიორგის ძე რომანოვსკი ჰერცოგი ლეიხტენბერგისა, პრინცები ალექსანდრე პეტრეს ძე, კონსტანტინე პეტრეს ძე და პეტრე ალექსანდრეს ძე ოლდენბურგელები და ჰერცოგები გიორგი გიორგის ძე და მიხეილ გიორგის ძე მეკლენბურგ-სტრელიცკები.

**მოსკოვი.** 23 აპრილს ცეცხლი მოედო რომან კელლერის ქიმიურ ქარხანას, რომელიც დაზღვეული იყო 600,000 მანეთად. ცეცხლის გაჩენის მიზეზი იყო ეთერის ბოჭკების აფეთქება.

**მოსკოვი.** საერო განათლების მინისტრმა ინახულა ცესარევიჩ ნიკოლოზის საიმპერატორო ლიცეი, სადაც მას შეხვდნენ დირექტორი და პროფესორები. მინისტრი იყო კლასებში და დაესწრო მათემათიკის, ლათინურ და ბერძნულ ენების გაკვეთილებს. წასვლისას მინისტრმა მიჰმართა საღმრთო სჯულის მასწავლებელს და უთხრა: „დანერგეთ მოწაფეთა შორის სიმართლის თესლი და აღზარდეთ ჭეშმარიტი მსახურნი მეფისა და სამშობლოისა“.

**კიევი.** შესდგა მეორე სხდომა განსაკუთრებულ კომისიისა, რომელიც შესდგა მინისტრის განკარგულებით შაქრის წარმოების კრიზისის გამო. მსჯელობა ჰქონდათ იმ ზომების შესახებ, რომელნიც საჭირონი არიან შაქრის ყიდვა-გაყიდვის ცნობების წეს-რიგში მოყვანისათვის. კომისიამ აუცილებლად დაინახა მიენდოს შაქრის ბიულეტენების შედგენა და გამოცემა განსაკუთრებულ კომისიას, რომელიც შესდგება ბირჟის თავმჯდომარისაგან და ადგილობრივ ვაჭრებისაგან; ამასთანავე უნდა დაევალოს შაქრის მწარმოებელთა სამმართველოებს და სხვებსაც მისცენ ცნობები ბირჟის კომიტეტს შესახებ შაქრის ბაზრის მდგომარეობისა.

**გააგა.** რუსეთის მთავრობამ მიჰმართა გააგის სამედიატორო სასამართლოს წევრს, სახელმწიფო საბჭოს წევრს ასერს გაარჩიოს რუსეთის და შეერთებულის შტატების პრეტენზიები ბერინგის ზღვაში ზღვის ღორების დაჭერის შესახებ.

**იოკაჰამა.** 3000 შეთქმული ჩინელი, როგორც ისმის, შეესია კორეიას მდ. ტუმენით, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მხრით. დაპყრობილ ოლქში ჩინელებმა გამოიწვიეს ძლიერი მღელვარება.

**პეკინი.** ვალდერზეემ ნება მისცა ზოგიერთ ჩინელ რაზმებს აასრულონ საპოლიციო სამსახური პეკინის მიდამოებში ავაზაკობის მოსასპობად.

**სტოკჰოლმი.** მეფემ მიიღო საზღვაო საქმეთა მინისტრის დირსენის თხოვნა სამსახურიდან დათხოვნის შესახებ.

**ლონდონი.** კიტჩინერი იტყობინება, რომ 18 ბატალიონი იომანრი გემებზედ არიან ინგლისში დასაბრუნებლად.

როგორც „რეიტერის სააგენტო“ იუწყება კლერსდორფიდან, გადაწყვეტილია, რომ გარტებეეფონტეინი დანგრეულ იქმნეს.

შტეინი და დეევეტი ვითომ დასავლეთ ტრანსვაალში იმყოფებიანო.

**მადრიდი.** ბარცელონაში ხალხი ცოტა არ იყოს დამშვიდდა, მაგრამ მაინც კიდევ დიდი შიშიანობაა; ხალხს კიდევ აპატიმრებენ. ოფიციალური დეპეშა იუწყება, რომ ამ ჟამად მშვიდობიანობას ქუჩებში უმთავრესად დედაკაცები და ბავშვები არღვევენო. ტრამვაის მოძრაობა შეუძლებელი გახდა. უმთავრესს ფაბრიკებში მუშაობა დაიწყეს.

ბილბაოდან იუწყებიან, რომ ის ანარქისტები, რომლებიც ამ ოლქში მოქმედებენენ, სადღაც დაიმალნენო. ხალხი ყველგან თან და თან მშვიდდება.

**კონსტანტინეპოლი.** ამ უკანასკნელ 6 დღის განმავლობაში არც ერთი კაცი აღარ გამხდარა ავად შავი ჭირით, ამიტომ კარანტინი მგზავრებისათვის გააუქმეს.

**ბელგრადი.** სარწმუნოების მინისტრი მარინკოვიჩი და სამხედრო მინისტრი ვასიჩი სამსახურიდან გადადგნენ. სარწმუნოების მინისტრად მეფემ პროფესორი და მინისტრად ნამყოფი ლიუბომირ კავაჩევიჩი დანიშნა, ხოლო სამხედრო მინისტრად—მთავარი შტაბის პოლკოვნიკი ბაჟიდარ იანკოვიჩი. მინისტრებისსამსახურიდან გასვლას ჰხსნიან იმით, რომ მათ ერთმანეთში უსიამოვნება მოუვიდათო.

(სალამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე.)

# ჟურნალ-გაზეთებიდან

19 აპრილს ინგლისის დეპუტატთა პალატა შეუდგა მსჯელობას ბრიტანეთის კანონპროექტის ძალით უცხოეთში გატანილ ნახშირზე ბაჟი უნდა დაედოს: ერთ ტონაზე შილინგი. პალატის დარბაზი სავსე იყო დეპუტატებით და გარეშე ხალხით. კამათები ეხებოდა ლიბერალურ სამინისტროში ხაზინის კანცლერად ნამოფის ვ. გარკორტის სიტყვით. გარკორტი გაბედვით წინააღუდგა ამ ახალს გადასახადს, რომელიც, მისის აზრით, ძველებურ 50 წლის წინად გაუქმებული სისტემის აღდგენას მოასწავებს. გარკორტის სიტყვით ხაზინის კანცლერი, როცა ამ გადასახადის შემოღებას ინდომა, ცრუ აზრით ხელმძღვანელობდა,—ეგონა გადასახადი მხოლოდ უცხოეთის მეიდეგენ დააწვებათ ტვირთადაო. ამ გადასახადმა აწუწა და არია ინგლისის ვაჭრობისა და მეწვეულობის საქმეები. და ნამდვილადაც სულ სხვა ნაირად არის, სინამ გიქსბიჭონიაო. რადგანაც ინგლისელ მწარმოებელ არ შეუძლიანთ სათქმელი რამ დააკლონ ქვა-ნახშირის ფასსა, ამიტომ უცხოელებს უნ სელს მისცემთ, ქვა-ნახშირი კონტინენტზე იეიდონ. ადრეეგაც კი ეოო შენიშნული, ინგლისის ქვა-ნახშირის მაგივრად უცხოელ ბაზრებში ეიდულობენ უფრო ეიფს კონტინენტალურ ქვა-ნახშირს, და ამ ახალი გადასახ შემდეგ, ხომ ჩვენ ნახშირს ახლოც არავინ კარებ. ამ გადასახადის გამო უბედ რამდენ მადანი დაიხურა და ამისთანა მაგალითები და თან უფრო გახშირდება: მაგრამ ამ ბაჟის ეველაზე მეტად იზარალებენ უცხოელები ინგლისის მადნის ბატრონები კი არა, არ ნახშირის მადნის მუშები, რადგანაც მადნის ბატრონები ეიძულებულნი იქნებიან ქვა-ნახშ ფასი დაკლონ და ეს დანაკლისი მუშების რიდან შეიგსონ. დასასრულ, გარკორტმა ხაზინის კანცლერს უარი თქვას ქვანახშ გარდასახადზე და დეფიციტი იმ სახეშ სუბსიდიის მოსპობით შეავსოს, რომელიც ფ ლორდებს (მებატონეებს) ეძლევათ. გორ მა მიჭმართა თავის თანამოაზრეებს და სთ ოპოზიცია მოვალეა ეგელა კანონიერი საშუ ბით მუდმივი და გაბედული წინააღმდეგობა წიოს ამ ახალს გადასახადს».

ამ სიტყვებს ძლიერის ტაშის-ცემით მეო ოპოზიცია. ხაზინის კანცლერის გიქს-ბ ესუნიც დიდის ადტაცებით მიიღო პალატ

გიქს-ბიჩმა სთქვა, რომ გარკორტი მ აზვიადებს ახალი გადასახადის შედეგებსა

ამისი რამე, თორემ ჩვენ არა ვიცით რა. ერთხელ კი მოაწია ჩვენამდის ერთმა ამბავმა, —ბ. ჩიმაკაძეს რომელიღაც დაწესებულებაში ბრალმდებლობა ეკისრნა და ბრალმდებლის ტოგა მოესხა. ეხლა კი... აკი თვით ბრალდებულად არ აქციეს. მაშ რისთვის, რად აირჩია ბ. ჩიმაკაძე ქუთათურმა ოპოზიციამ; ოპოზიციამ თქო, რადგან რამდენადაც გვახსოვს, ბ. ჩიმაკაძე თავშიაც ოპოზიციამ გამოიყვანა თავის კანდიდატად და უკანასკნელად კიდევ ისევ ოპოზიციამ აირჩია უფროს წევრად. ვის ემსახურებოდა ბ. ჩიმაკაძე? ქალაქს, ბ. ლოლუას თუ თავის თავს? ვერც ერთს ზემო მოყვანილ კითხვაზე ვერც ჩვენ და, ვგონებთ, ვერც ქუთაისის ხმოსნები პასუხს ვერ მოგახსენებთ, იმდენად უფერული, საზოგადო მოღვაწის სახეს მოკლებული იყო აწ გადაყენებული ქუთაისის გამგეობის უფროსი წევრი.

* * *

დღეს მოხდება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება ამ კრებამ სხვათა შორის უნდა განიხილოს დრამატიულ საზოგადოების „პრეტენზია“. მკითხველებს ეხსომებათ ალბად, რომ შარშან დრამატიულ საზოგადოების კომიტეტი პირობით შეეკრა ბ. დალსკის და რომ ამ პირობით კომიტეტი აქირავებდა დალსკის მოწყობილს და ელექტრონით განათებულს თეატრს. თვით კომიტეტი კი წინ-დი-წინვე დაიმედებული იყო თავად-აზნაურობის მამულის გამგე კომისიისაგან, რომ დალსკის ჩამოსვლამდე ელექტრონი მოწყობილი იქნებოდა. დალსკი ჩ ვიდა, მაგრამ ელექტრონი ჩვენს თეატ კი არსად სჩანდა. რა გაეწყობოდა! კ ტეტმა გადაუხადა ბ. დალსკის პირო მოხსენებული ჯარიმა. მაგრამ, ვინაი ეს ზარალი კომიტეტს მამულის გამგ მისიამ დაატეხა თავზე, კომიტეტმა ამ მისიას მოსთხოვა ზარალის ზღვევა. დ დღევანდელმა კრებამ უნდა გადაწყვ უზღავს თავად-აზნაურობა ზარალს ტიულ კომიტეტს—თუ არა. თავად-აზ თა მამულის გამგე კომიტეტი თავის მ უარს ამბობს, ჩვენ მხოლოდ დავპირ ელექტრონის დროზე მოწყობას და პ ბით კი არ შევკრავართ დრამატიულ მიტეტსო. სწორედ რომ არ არის საკა კეთილშობილთაგან შემდგარ კომის თვის ამ გვარი პასუხი. მაგრამ სასა კია დრამატიულ კომიტეტის ამბავი. ოცდა-ხუთი წელიწადი შეუსრულდება მატიულ საზოგადოებას. ამ ხნის განმ ბაში საზოგადოება, ვგონებთ, არ მ ბია უდეფიციტო წელიწადს, გარდა ნდელისა. შარშან ძლივს გაუღიმა საბრალოს და წლის ბოლოს კასაში ო გროში უქყავოდათ. მაგრამ უფულობ დეფიციტებს ნაჩვევმა საზოგადოებ გროშების ჭყავილს ვერ გაუძლო და კასიდამ განათავისუფლა. დრამატიულ ზოგადოებაც ხომ მისთვის ჰქვიან, რ დამ დრამატიულ მდგომარეობაში ი ბოდეს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებას. ეს დაგვიანება, მართალია, აიხსნება იმით, რომ ჭიათურელ მრეწველთ დიდი ხანია მიაშურეს სხვა ქალაქების საკრედიტო დაწესებულებათ, სახელდობრ: ქუთაისის საურთიერთო კრედიტმა, ტფილისის საკომერციო ბანკმა და ფოთის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებამ, მაგრამ მაინც კიდევ სხვაგან ამგვარ ადგილს, ვიმეორებთ, საკრედიტო დაწესებულება დიდი ხანია დაარსდებოდა.

ასეა თუ ისე, დღეს თუ ხვალ ჭიათურაში დაარსდება ბანკი. დიდი სიფრთხილე უნდათ მის დამაარსებელთ, რათა ეხლანდელისებურმა შავის ქვის წარმოების კრიზისმა არა დააკლოს რა, რადგან ეხლავე შეიძლება ითქვას, რომ უმთავრესი მისი ოპერაცია—შავის ქვის დაგირავება იქნება. გაუფრთხილებლობამ და შავის ქვის მრეწველობის უცოდინარობამ ორ ბანკს კიდეც შეატოპინა, რამდენადაც ვიცით, ზარალის მორევში და ერთი მათგანი განსაცდელშიაც-კი ჩააყენა. საურთიერთო კრედიტი იმ სახით, რა სახითაც ის აქამომდე სწარმოებდა ჩვენში, ადვილი სამართავი იყო, ეხლა კი, როდესაც მის უმთავრეს ოპერაციად ხდება დაგირავება საქონლისა და მერე ისეთის, როგორიც შავი ქვაა, მისი მართვა მოითხოვს მის მმართველთაგან ბევრს და რთულს ცოდნას. ვიმეორებთ, დიდი სიფრთხილე სჭირს ჭიათურის ბანკის დამაარსებელთ და ეს სიფრთხილე ამ თავითვე უნდა გამოიჩინონ უმთავრესად იმ პირების არჩევანში, რომელთაც ამ ნორჩის დაწესებულების მართვას მიანდობენ.

* * *

საბრალო ქუთაისი, ჩვენის აზრით,—და ბედნიერი იქაურ კენჭობანას მოყვარულთა აზრით! ხვალინდელ დღეს იქაურ ქალაქის საბჭოში დანიშნულია ქალაქის თავის არჩევანი. ჯერ ქალაქის თავი არ აურჩევიათ, და აი ახალი უბედურება (თუ გნებავთ, ბედნიერება) თავს დაატყდა საბჭოს. ჩამოაყენეს ბ. ჩიმაკაძე, გამგეობის უფროსი წევრი. ამ რიგად 30-ს ამ თვემდე, ე. ი. ხვალინდელ დღემდე, ქუთაისის გამგეობა ჰკარგავს კოლეგიალურ ხასიათს,—გამგეობას ერთი კაცი შეადგენს!! ჯერ-ჯერობით ჩვენ არა ვიცით რა მისი, თუ რისთვის მისცეს სამართალში ქუთაისის ქალაქის ყოფილი გამგეობა, ხოლო ქუთათურ ხმოსანზე კი ითქმის, ჯერ ის ფეხსაცმელი არ გაუცვეთია, რომლითაც პირველ საარჩევნო კრებაზე მიდიოდა, და მეორე კრებამაც აკი არ მოატანა. ბ. ლოლუაზე, რომელიც ეხლა მისებურ ქალაქის მართვისათვის არის მიცემული სამართალში (ეს მეორე ბრალდებაა), ჩვენს გაზეთში საკმაოდ იყო ნათქვამი და მისი მოღვაწეობა საკმაოდ იყო გარჩეული, ხოლო ბ. ჩიმაკაძეზე კი ნაკლებად.

ვინ არის ბ. ჩიმაკაძე? საიდან გამოტყვრა ის საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე? რა დამსახურება, რა ცოდნა, რა სახელი მიუძღოდა მას საზოგადოების წინაშე ამომრჩევლების თვალში? ქუთათურმა ხმოსნებმა თუ იციან ტრონი მოწყობილი იქნებოდა. დალსკი ჩ ვიდა, მაგრამ ელექტრონი ჩვენს თეატ კი არსად სჩანდა. რა გაეწყობოდა! კ ტეტმა გადაუხადა ბ. დალსკის პირო მოხსენებული ჯარიმა. მაგრამ, ვინაი ეს ზარალი კომიტეტს მამულის გამგ მისიამ დაატეხა თავზე, კომიტეტმა ამ მისიას მოსთხოვა ზარალის ზღვევა. დ დღევანდელმა კრებამ უნდა გადაწყვ უზღავს თავად-აზნაურობა ზარალს ტიულ კომიტეტს—თუ არა. თავად-აზ თა მამულის გამგე კომიტეტი თავის მ უარს ამბობს, ჩვენ მხოლოდ დავპირ ელექტრონის დროზე მოწყობას და პ ბით კი არ შევკრავართ დრამატიულ მიტეტსო. სწორედ რომ არ არის საკა კეთილშობილთაგან შემდგარ კომის თვის ამ გვარი პასუხი. მაგრამ სასა კია დრამატიულ კომიტეტის ამბავი. ოცდა-ხუთი წელიწადი შეუსრულდება მატიულ საზოგადოებას. ამ ხნის განმ ბაში საზოგადოება, ვგონებთ, არ მ ბია უდეფიციტო წელიწადს, გარდა ნ ნდელისა. შარშან ძლივს გაუღიმა საბრალოს და წლის ბოლოს კასაში ო გროში უქყავოდათ. მაგრამ უფულობ დეფიციტებს ნაჩვევმა საზოგადოებ გროშების ჭყავილს ვერ გაუძლო და კასიდამ განათავისუფლა. დრამატიულ ზოგადოებაც ხომ მისთვის ჰქვიან, რ დამ დრამატიულ მდგომარეობაში ი ბოდეს!..

ტის აზრით, ეს ბაჟი სულ ბოდიშს მოუ-
ნახშირის ვაჭრობას და მთლად ინგლისელ
ველებს დაუწვებათ ტვირთადაო. მაგრამ ხა-
ს კანცლერი ჰფიქრობს, რომ ეს ბა-
ეტესად დეეკისრებათ უცხოელ მეიდ-
ს, რომლებიც ოდეს ვერ წაგლეჯენ,
ინგლისის ნახშირი არ იყიდეს. ეს მტკიც-
ამითაც, რომ მიუხედავად ფასის მომატე-
, ინგლისის ქვა-ნახშირი წარსულ წელს შე-
ებით წინანდელ წლებთან 7%-ით მეტი იყო
ანადი უცხო-ქვეყნებში. ამიტომ ეს ბაჟიც
დვაწესოთ, ინგლისს მაინც ბირველი ად-
ი ექნება უცხოეთის ბაზრებში. გადასახადის
ადმდეგნი დაჟინებით დაბარაკობენ, რომ
ინგლისის ქვა-ნახშირს ვესტფალიის (გერმანია-
ქვა-ნახშირის მეტოქეობა ემუქრისო, მაგრამ
ადნებში მეტად ცოტა ნახშირს იღებენ შე-
ებით ინგლისის მადნებთან. წარსულ წელს
ინგლისმა 6 მილიონი ტონნა ქვა-ნახშირი გა-
ა გერმანიაში და ეს გარემობა ნათლად ამტკი-
ს, რომ ესქ�:ნა ოდეს ვერ მიდის შინაური
ირით. მაშასადამე არავითარი საფუძველი
ბვაქვს ვიფიქროთ, რომ ნახშირის გა-
გატანას ბოდო მოეღებაო. ერთად
ი ცუდი შედეგი, რომელიც შეიძლება ამ
მოჰყვეს—არის ამ ვაჭრობის განვითარების
ნება. მაგრამ ეს არც ისეთი უცილობელი
ია, იმიტომ რომ ინგლისის ქვა-ნახშირის
ები არც თუ ისრე კამოუღეველია და სა-
ოა, რომ რაიმე საზღვარი დაუდოთ მათ
ფ კამოღეგას. ამიტომ,—სთქვა გიქს-ბიჩ-
—ვფიქრობ, რომ მიუხედავად იმ საეოველ-
კეთილისა, რომლითაც ქვა-ნახშირის მად-
ის მუშების კაშარი ბედატასა და მთავრო-
ემუქრება, დეპუტატთა ბალატა სამინისტრის
ბრობს:

ამათების კაგრძელება ორშაბათამდე გადა-

✿ რაკი ოპოზიციასთან ვერას კახდა, ბრუ-
ს მთავრობამ დინდტაკი დახურა. გერმანუ-
კაზეთები იუწუებიან, რომ ორივე ბალატის
რთებულ სხდომაზე იმპერიის კანცლერმა
ფ ბიულოვმა წაიკითხა იმპერატორის უბის-
ლე დანდტაკის დახურვაზე და შემდეგ თა-
ს მხრივ განმარტა: არხების თობაზე
ინშულ კომისიის თათბირის მსვლელობიდან
ვრობა დარწმუნდა, რომ ამ ჟამად შეუძლე-
ია შეთანხმება არხების საკითხის თობაზე,
ტომ უაზრობა იქნება კამათების განგრძობაო.
ვრობა ისე უეურებდა მთელ მეორედ წარდ-
ილ კანონ-ბროექტს არხების თობაზე, რო-
რც ერთიანს რასმე და ამ კანონ-ბროექტიდან
მელიმე არსებითი ნაწილის მოშორება დიდ
ალს მოუტანდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ
ინტერესებსაო.

ანდტაკის დახურვის დროს დიდძალი ხალ-
დესწრო. თვით დანდტაკის შენობის წინ
რი ცნობის მოუკარე ხალხი მოგროვდა. ელო-
ენ, რომ მრისხანე სიტყვა იქნება წარმოთ-
ული ოპოზიციის წინააღმდეგაო. ეკვლა მი-
ტრები დაესწრნენ, მაგრამ მოდოდინი არ გა-
ოდდა. მთელმა სხდომამ სულ 6 წამს კას-
ნ. სესსიის დახურვა იმპერატორ ვილჰელ-
ბირადი თანსწრობით მოხდა. ეხლა ჰფიქ-
ბენ, რომ კანონ-ბროექტი არხების შესახებ
03 წლამდე მაინც იქნება გადადებული, ესე
ვიდრე ახალი სადამოენო ტარიფები არ
ება დამტკიცებული. რასკვირველია ეკვლა
რმანული გაზეთები მხურვალედ და დაწვრი-
ბით დაპარაკობენ მთავრობის უკან დახევის
ახებ კონსერვატორების ოპოზიციის წინ.
ნსერვატორების გაზეთები დიდ გმაუოფილე-
�დებენ საქმეთა ამნაირ მსვლელობის გამო,
ბრძვებას დღესასწაულობენ, აღნიშნავენ იმ
ქტს, რომ მთავრობამ სესსია ამ კენჭის
ის წინად დახურა, რომელიც არხების კა-
ნ-ბროექტის შესახებ უნდა მომხდარიყო და
ით დაამტკიცა, რომ მას არა ჭსურს უთანხ-
ება მოუვიდეს კონსერვატორებთან და კათო-
იკეთა დასთანაო. გაზეთების ის ნაწილი,
რომელიც არხების შესახებ კანონ-ბროექტს თა-
ეგრძნობდა, მკაცრად ჭკიცხავს მთავრობის
ესუსტეს.

ანდტაკის სესსიის დახურვის შემდეგ სამი
ნისტრი კადაგა სამსახურიდან. ამ ამბავს
ერმანული გაზეთები მეტად გულ-გრილად მი-
ეგებნენ. უველაზე მეტს ეურადღებას მაინც
მიქედს აქცევენ, რადგანაც ის კანთქმუ-
ლი იყო, როგორადაც შესანიშნავი ფინანსების
მინისტრი. «ბერლინერ ტაგებლატ»-ი მიქედის
შესახებ ამბობს:

ეველა იმ დიდებულ ჭკვისა და ნიჭის ბა-
ტრონ ბირებისაგან, რომლებმაც შეჭქმნეს კა-
ნონმდებლობა გერმანიის იმპერიისა,—მიქედი
უცილობლად ეველაზე მრავალ-მხრივანი და
ეველაზედ გამჭრიახი ჭკუის ბატრონი კაცი
იყო. მისი დგაწდი ბრუსიის ფინანსების მო-
წეს-რიგებისა და მტკიცე საფუძველზე დაეენების
საქმეში—ეჭვ გარეშეა, მაგრამ მისი გავლენა
სახემწიფო ცხოვრების სხვა ასპარეზებზე სულ-
ც არ იყო კეთილ-მოოფელი. მიქედში განხორციელდა აგრარო-პოლიტიკური მისწრაფებანი ბრუსიის კანონ-მდებლობისა 30—40 წლის განმავლობაში. მიქედს საოცრად ჭქონდა შესწავლილი პარლამენტის მექანიზმი და ამიტომ ის ბევრჯელ ეენებლად გამოვიდა დახლართული და არეულ-დარეულ სპპარლამენტო მდგომარეობიდგან; და თუ ეხლა არხების შესახებ კანონ-ბროექტმა კისერი მოსტეხა მიქედს, ეს იმისი ბრალია, რომ მას ეველა დასების ნდობა დაეკარგა.»

ბერლინის გაზეთი მიქედის დახასიათებას ამნაირი სიტყვებით ათავებს:

«ამ გამოცდილს ხელოვან მეგემეს, ზღვის ელვამაც ვერა დააკლო რა, მაგრამ სიცოცხლის დასასრულს მისი გემი მცირე არხმა ჩაძირა»!

✿ ფრანგ. გაზ. «ტან»-ს შემდეგი სტატისტიკური ცნობები მოჰყავს საფრანგეთში 1900 წელს მომხდარ კაფიცვების შესახებ:

«1900 წელს სულ 903 კაფიცვა მოხდა; მონაწილეობას იღებდა 225,714 სული, რომლებიც 10,253 სხვა და სხვა დაწესებულებაში მუშაობდნენ. საზოგადო რიცხვით 180,591 კაცი იყო, 29,753 ქალ-კაცი და 12,370 მოზარდი ემაწვილი. ამ კაფიცვების გამო დაკარგულა სულ 3,670,577 სამუშაო დღე. წინა წელს 740 კაფიცვა მომხდარა; კაფიცულთა რიცხვიც ამის დაგვარად ნაკლები ეოფილა. რაც შეეხება კაფიცვის შედეგებს,—205 კაფიცვა (24,216 კაცი იღებდა მონაწილეობას) კათავდა მუშების სრული გამარჯვებით, 360 კაფიცვა (140,358 კაცი იყო კაფიცული) კათავდა საქმის ბატრონთა და მუშათა შერიგებით და 337 კაფიცვა (58,140 კაცი იყო კაფიცული) მუშების სრული დამარცხებით კათავდა».

## ახალი ამბავი

✦ ხვალ, 29 აპრილს, ტფილისის ქალაქის საბჭოს, სხვათა შორის, წარუდგენენ კავკასიის მთავარ-მართებლის მოწერილობას ქალაქის მოურავის გ. ევანგულოვისა და გამგეობის წევრის ე. ე. ხოსროევისა, გამგეობის წევრად ნამყოფთ თ. ა. მ. არლუთინსკი-დოლგორუკოვისა, ა. ა. ივანენკოსა და ხ. ა. ვერმიშევის სამართალში მიცემის შესახებ.

✦ გაზეთების სიტყვით, წელს, შემოდგომაზედ, საერო-განათლების მინისტრი ინახულებს რუსეთის ეველა დიდ ქალაქების სასწავლებლებს.

✦ გზათა მინისტრს განზრახვა აქვს ამ წლის ბოლოს გამართოს რკინის გზების ყველა სახელოსნოების მუშებისათვის საღამოს კურსები.

✦ უმართებელესის სენატის ახსნით, გაკანონიერებულ შვილს აქვს ეველა ის უფლება, რაც კანონიერს. ამიტომ, თუ, მაგალითად, დედ-მამის დაქორწინებასა და გაკანონიერებას შუა რომელიმე სამკვიდრო, რომელიც მისი იქნებოდა, რომ კანონიერი შვილი ყოფილიყო, სხვის ხელში გადავიდა, მას კანონი უფლებას აძლევს მოითხოვოს ამ სამკვიდროს დაბრუნება.

✦ გუშინ ჩვენს გაზეთში უკვე გვქონდა აღნიშნული ქალაქის გამგეობის გარდაწყვეტილება ტფილისში წმ. მარიამ მაგდალინელის სახელობაზე ქალთა თავშესაფარის დაარსების შესახებ. მოვიყვანთ აქვე მოკლედ ქალაქის გამგეობის მიერ შემუშავებულ წესის შინაარსს: ეს თავშესაფარი პირველად დაარსებული იქმნება 10 ქალისათვის; მიიღებიან როგორც მცირე-წლოვანი ქალები, აგრეთვე სრული წლოვანიც, მაგრამ არა უხნეს 30 წლისა წოდებისა და სარწმუნოების განურჩევლად; თავშესაფარში მიიღებენ აგრეთვე როგორც სულით ავადმყოფთ, ისე ავზნიანებსაც; ქალების მიღება უფასო იქმნება; მიღების დროს ქალს მოსთხოვენ ვინაობის საბუთებს; მიღებული ქალები დარჩებიან თავშესაფარში სამ წელიწადს ან მეტსაც, თავშესაფარის გამგის შეხედულებით. ამ დროს განმავლობაში ასწავლიან ქალებს ჭრა-კერვას, მზარეულობას, მრეცხაობას, წერა-კითხვას, საღმრთო სჯულს და სხვას. შემდეგ აქ ნამყოფ ქალებს მიეცემათ მოწმობა და შეატყობინებენ პოლიცმეისტერს, რომ ისინი გამორიცხონ უზნეო ქალთა სიიდან. თავშესაფარის შესანახად ქალაქი გადასდებს ყოველ წლობით 1000 მან., ხოლო სულ თავშესაფარის შესანახად საჭირო იქმნება 2292 მან., რომლის შესადგენად გამართულ იქმნება ხელის მოწერა.

✦ გავახსენებთ მკითხველებს, რომ დღეს, 29 აპრილს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება გ. სუნდუკიანცის სამ მოქმედებიანი კომედია „პეპო“ მისი პირველ წარმოდგენიდან 30 წლის შესრულების სახსოვრად.

✦ დღეს, 29 აპრილს, ტფილისის „სოგრანიეს“ საზაფხულო ბაღში გაიმართება სეირნობა, რომლის შემოსავალი დანიშნულია პეტრე-პავლეს კათოლიკეთა ეკკლესიასთან არსებულ საქველმოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ.

✦ ტფილისში ჩამოვიდა ქუთაისის გუბერნატორად ნამყოფი გენერალ-ლეიტენანტი გერშელმანი.

✦ ქ. ოზურგეთში, მომავალ მაისის ცხრას, დილის ათ საათზე, დანიშნულია ჩვეულებრივი წლიური კრება გურიის სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა „შუამავალი“-ს წარმომადგენელთა.

✦ 25 აპრილს გურიის სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობის „შუამავალის“ სარევიზიო კომისიის მიერ დანიშნულ არა ჩვეულებრივ კრებას დაესწრო 50 წარმომადგენლიდან მხოლოდ სამი წარმომადგენელი.

✦ როგორც შევიტყეთ, ხმა, ვითომც ზუბალაშვილებს განზრახვა ჰქონდეთ დახმარება აღმოუჩინონ მომავალ საიუბილეო გამოფენას, უსაფუძვლო გამოდგა.

✦ საათანადო მთავრობის ნება-რთვით, სს. გურჯაანსა და ველისციხეში გაიხსნება წერა-კითხვის კოლები.

✦ მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულის მედვედევის მინდობილობით, ბაქოს გუბერნიაში გაგზავნილ აგრონომმა სააკოვმა იკისრა შეაგონოს ადგილობრივ ფეიქრებს და საოჯახო მრეწველებს მონაწილეობა მიიღონ მომავალ გამოფენაში.

✦ როგორც „ნოვ. ობზ.“ გაუგონია, ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგი ნ. მ. ტარსაიძე დაინიშნა ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრად.

✦ კახეთიდან გვწერენ: „გოლვის შემდეგ ავდრები შემოგვეჩვია. ჯერ-ჯერობით წვიმა ხშირი სტუმარია ჩვენი. მაგრამ სამწუხარო ეს არის, რომ წვიმას არ სჯერდება და სეტყვაც მოჰყვება ხოლმე. მაგ., 24 აპრილს საღამოთი მთელ კახეთში ასტყდა გრგვინვა და სეტყვაც მოვიდა შემდეგ სოფლებში: რუისპირის ზემო უბანში, ენისელში და შილდაში, ბოლოზე, სადაც ჯეჯილები დაიყოლა და ახალ სოფელში. ვაზს ვერაფერი დააკლო. კიდევ კარგი, რომ სეტყვა სხვილი არ იყო და დადინჯებული ამინდიც იყო, ისე რომ შესამჩნევი ზარალი ვერ მოუტანა გარდა ზოგიერთთა ადგილებისა.“

✦ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის უწყებას მეტად უეცრს იშოვის ბირები წვრილ თანამდებობათა აღსასრულებლად. ამიტომ მას მიუმართავს რუსეთისათვის, მაგრამ აქაც თითქმის ვერავინ უშოვნია.

✦ გამომძიებელის განკარგულებით, გაპარ მესხირელაშვილი, რომელიც დაჭერილია მელვინოვის მკვლელობის გამო, ანგარიშვალ მეტეხის საპატიმროში. გამოძიებამ მიაგნო მკვლელობის კვალს.

✦ დღეს, 29 აპრილს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში კრება ექმნება ახლად შემდგარ ნავთის მწარმოებელ ქალთა საზოგადოების წევრთ საზოგადოების დაარსების შესახებ ზოგიერთ საკითხების განსახილველად.

✦ 3 მაისს მოხდება საზოგადო კრება ტფილისის ქალაქის თვით-მართველობის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის წევრებისა, ასარჩევად იმ წევრებისა, რომელნიც გამოდიოდნენ კასსიდან, მაგრამ ისევ მოისურვეს წევრობა.

✦ დღეიდან ოლგის საბებიო ინსტიტუტში დაიწყება ეგზამენები უფროსს კლასსში.

✦ წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის სამეურნეო ნაწილის გამგე ბ. მარქსი წავიდა პეტერბურგში თავის სამსახურის საქმეების გამო.

✦ მარტყოფის მონასტრის მამულიდან 100 კვ. საჟენი მიეზომა სკოლას.

✦ რადგანაც სათანადო მოხელეთა უყურადღებობისა გამო ტფილისში ბევრი შემთხვევა ყოფილა მაკე საქონლის დაკვლისა, ამიტომ ტფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოების გამგეობამ მიჰმართა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას, დახმარება გაუწიოს მას ასეთის შემთხვევების მოსასპობლად ბრძოლაში, რადგან ასეთი ფაქტები როგორც ზნეობრივად, ისე ეკონომიურადაც მავნებელია ამ მხრის მცხოვრებთათვის.

✦ ლუდხანის პატრონმა ვეტცელმა სთხოვა კავკასიის საიუბილეო გამოფენის კომისარიატს დაუთმოს მას ადგილი საკუთარ პავილიონის ასაგებად.

✦ 27 აპრილს პოლიციის პირველს ნაწილში, წყაროს უბანში, ტფილისის მცხოვრების მისერილაშვილის სახლს ერთი გვერდი დიდის წვიმისაგან ჩამონგრევია. უბედურება არა მომხდარა რა. ქალაქის ტეხნიკოსის განკარგულებით, აღნიშნულ სახლიდან ყველა მდგმურები გამოუყვანიათ.

## კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება.

პარასკევს, 27 აპრილს, სამეურნეო საზოგადოების სადგომში, საღამოს 8½ საათზე, შესდგა კრება სამეურნეო საზოგადოების წევრთა ვიცე-პრეზიდენტის უგანათ. თავად. ვ. ა. გრუზინსკის თავმჯდომარეობით; კრებას დაესწრო მხოლოდ 17 წევრი. როგორც წინედაც გვქონდა აღნიშნული, საბაღოსნო სკოლაში მომხდარ უწესოების გამო დათხოვნილ იქმნა სკოლის მმართველი და ზოგიერთნი სხვებიც; რის გამო მოსწავლენი თავ-თავიანთ სახლში გაუშვეს და სკოლაში სწავლა შეჩერდა. წასულ საზოგადო კრებაზე ამ გარემოებას ყურადღება მიაქციეს საზოგადოების წევრებმა და მოითხოვეს განმარტება, თუ რამ გამოიწვია სკოლაში უწესოება და რამ აიძულათ სკოლაში სწავლა შეეჩერებინათ. საზოგადოებამ კომისას მიანდო გამოერკვია ამ საქმის გარემოება და გარდა ამისა წარედგინა საზოგადოების საბჭოსათვის მოხსენება, თუ რა გზას დაადგნენ სკოლის საქმეების გასაწესრიგებლად. კომისიას წარუდგენია საზოგადოების საბჭოსათვის ეს მოხსენება. როგორც ამ მოხსენებიდან სჩანს, დიდი უყურადღებობა გამოუჩენიათ გამგეთ სკოლის მართვის საქმეში; სხვათა შორის ეს იქიდგანაც სჩანს, რომ სკოლას დღეს გადასახდელი ვალი 8454 მან. აქვს. ამასთანავე სკოლის ბაღის მცენარეულობის მეტი წილი დაავადმყოფებულია, ასე რომ იქ მოსწავლეთა მეცადინეობა სრულიად უნაყოფო იქნება. მიუხედავად ამისა, კომისიის აზრით, საზოგადოების საყვედურის თავიდგან ასაცილებლად, საჭიროა ეხლავე სწავლის ისევ დაწყება; მაგრამ რადგანაც ბაღში პრაქტიკულ სამეცადინოდ ცოტა ადგილია, ამიტომ, ვიდრე შეიძენდნენ სხვაგან

უფრო მოხერხებულს ადგილს, მოსწავლეთა რიცხვი შედარებით უნდა შემცირდეს; ასე რომ უმცროს კლასებში დრომდე 8—9 კაცის მეტი აღარ მიიღონ; თუ საჭირო იქნა, კერძო ადგილი უნდა იქმნეს აღებული მოსწავლეთა სამეცადინოდ. საზოგადოების საბჭოს, განუხილავს რა კომისიის მოხსენება, დაუდგენია დაევალოს სკოლის დროებით გამგეს ჯაფარიძეს, მოიწვიოს სკოლის მეორე და მესამე განყოფილების მოწაფენი და ეხლავე შეუდგნენ სწავლას.

ვ. ნ. გეევსკი. კომისია თავის მოხსენებაში მოუხერხებლად სცნობს საბაღოსნო სკოლის ბაღში ეხლა მეცადინეობას. ჩემის აზრით, ჯერ უნდა გამორკვეულ იქმნეს—ამ ბაღშივე იმუშაონ ყმაწვილებმა, თუ სხვა გაქვთ სადმე ადგილი, და მერე, შეგიძლიანთ მოიწვიოთ მოსწავლენი სწავლის გასაგრძობად.

ბ. ადაბეგოვი. საბაღოსნო სკოლის ეზოს უმთავრესი ნაწილი გამოფენისათვის არის დათმობილი, მაგრამ მიუხედავად ამისა, უნდა უსათუოდ სწავლა გაგრძელდეს სკოლაში, მაგრამ ისე კი, რომ ამ ზაფხულობით მხოლოდ უფროს განყოფილების მოწაფენი მოვიწვიოთ; ხოლო, რადგანაც შესაძლებელია გამოფენის კომისარიატმა ნოემბრის დამლევამდისაც ვერ გასწმინდოს ეზო გამოფენის შენობებისაგან და ამით შესაძლებელია სკოლაში სწავლის საქმე შეფერხდეს, საჭიროა კრებამ ეხლავე მისცეს წინადადება გამოფენის კომისარიატს, რომ უსათუოდ პირველ ნოემბრისათვის გაიწმინდოს ეს ადგილი გამოფენის სხვა და სხვა შენობებისაგან. ამას გარდა არ შემიძლია საზოგადოების ყურადღება არ მივაქციო იმ უცნაურ ფაქტს, რომ ამ ჟამად სკოლის ბაღში მომდგარან და მთელი რიგი ვენახის ვაზებისა გაუკაფავთ. არ მესმის, რა საფუძვლით?

ფოგუროვსკი. საზოგადოების საბჭოს დადგენილების ძალით.

უგან. თავ. ბ. გრუზინსკი. ბაღში დაავადმყოფებულ ხეების მოჭრა თვით საზოგადოებისაგან არის ნება-დართული.

ადაბეგოვი. გამოფენა კარგი საქმეა, მაგრამ ხეების იქ მოჭრა არაფერს შემთხვევაში არ შეიძლება; რაც შეეხება კომისიის მოხსენებას, ჩემის აზრით, უნდა ამორჩეულ იქმნეს კომისია, რომელმაც შეიმუშაოს აზრი სკოლის სხვა ადგილზე გადატანის შესახებ..

თავ. ბ. ა. გრუზინსკი. იმ ადგილზე, სადაც ეხლა გამოფენა იმართება, შემდეგისათვის რაიმე იმედის დამყარება ყოვლად უსაფუძვლოა, რადგანაც უკვე ცნობილია, რომ სკოლის ეზო სულერთიან ავადმყოფობით არის მოდებული და იქ მოსწავლეთა მეცადინეობა ვერავითარს სასურველს ნაყოფს ვერ გამოიღებს; ჩვენი ლაპარაკი ეხლა იმაზედ არის, რომ მოწვეულ იქმნენ სკოლის უფროს განყოფილებათა მოსწავლენი და სწავლა გაგრძელებულ იქმნეს, ხოლო მათ პრაქტიკულ სამეცადინოთ სხვაგან გვაქვს ადგილი და იქ იმუშავებენ.

კარჩევსკი. უნდა დავთანხმდეთ საზოგადოების საბჭოს აზრს სკოლაში სწავლის გაგრძელების შესახებ, ხოლო რაც შეეხება სკოლის სხვაგან გადატანას, ეს ჯერ თვით საბჭოს საბოლოოდ არ აქვს გადაწყვეტილი და საჭიროა მისი კიდევ უფრო კარგად შემუშავება. ცოტა ხნის კამათის შემდეგ, ხმის უმეტესობით მიღებულ იქმნა საბჭოს დადგენილება სკოლაში სწავლის ეხლავე გაგრძელების შესახებ. შემდეგ საზოგადოებას წარედგინა ამა 1901 წლის სკოლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა; სკოლის სამეურნეო კომისიის გამოანგარიშებით, სკოლას შემოსავალი ექმნება სულ ორივე განყოფილებათათვის 15,906 მან. 85 კაპ. ხოლო გასავალი—15,304 მ. კომისიის აზრით, ხარჯს დარჩენილი ფული უნდა სკოლის ვალის გასასტუმრებლად იქმნეს გადადებული. კარგა ხანი კამათი გამოიწვია ხარჯ-აღრიცხვის დამტკიცებამ. ბ-ნი გეევსკი და ზოგიერთი სხვებიც თხოულობდნენ, რომ ხარჯთ-აღრიცხვა მხოლოდ იმ პირობით დამტკიცდეს, თუ ხელში გვექნება ხელ-შეკრულება იმ პირთაგან, ვინც მოსწავლეთა პრაქტიკულ სამეცადინოდ ადგილს გვაძლევსო. კრებამ თითქმის შეუცვლელად დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვა.

დასასრულ, კრებას წარედგინა ვრცელი მოხსენება კომისიისა საბაღოსნო სკოლის მომავლის შესახებ. როგორც ვუწყით, საზოგადოება დიდად დააფიქრა იმ გარემოებამ, რომ სკოლის ბაღში გაჩნდა ეგრეთ წოდებული „სიდამპლე“, ამის გამო განიზრახეს ამ სკოლის სხვაგან გადატანა. ამას გარდა კომისიას მით უფრო უნდა ეხლანდელ ადგილიდან სკოლის სხვაგან გადატანა, რომ რკინის გზის გამართვის შემდეგ ტფილისი გაშენდა რკინის გზის სადგურისაკენ და საბაღოსნო სკოლა თითქმის ბაზარს შუა ექცევა, რაც, კომისიის აზრით, ცუდს გავლენას იქონიებს მოსწავლეთა აღზრდის საქმეზე. ერთად ერთი საშუალება სკოლის უფრო უკეთეს ნიადაგზე დაყენებისა ის იქმნება, რომ გაიყიდოს ეხლანდელი სკოლის შენობა გარშემო მისი ეზო-ბაღით, რაც შემოიტანს 340,000 მან. და ამ ფულებით ქალაქს გარეთ, მოხერხებულს ადგილს, შეიძინონ სამაგიერო. რადგანაც საბაღოსნო სკოლის ეხლანდელი ადგილი სახაზინოა, ამიტომ მისი გაყიდვა შეიძლება მხოლოდ უმაღლეს მთავრობის ნება-დართვით. მყიდველს უნდა გამოერთვას ბეთ წინდაწინ 200,000 მან. და ვიდრე სკოლის გამგეობა მეორე, ახლად შეძენილ ადგილზე სრულად მოაწყობდეს სკოლას, სწავლა ისევ ძველ ადგილზე უნდა იქმნეს. ამის განსახორციელებლად საჭიროა იქმნება 2 წელიწადი. ამ განზრახვის განხორციელება კომისიას მით უფრო საჭიროდ მიაჩნია, რომ სკოლას ნაკლებად აქვს შემოსავლის წყარო: ყოველ წლობით ზარალის მეტი არა აქვს-რა ამ სკოლით საზოგადოებას და როცა იგი სხვა ადგილზე იქმნება გადატანილი, აქ შეიძლება უფრო კარგად მოეწყოს საქმე. ამ საგნის გამო გამოწვეულმა კამათმა ღამის 12 საათამდე გასტანა. წარმოითქვა ბევრი სხვა და სხვა მოსაზრებანი. ვ. ნ. გეევსკი ამბობს, რომ ეს მიწა სახაზინოა და მისი გაყიდვის უფლება არა გვაქვსო და გაყიდვის ნების გამოსათხოვნელად კი ძალიან დიდი დრო გავა და საქმე შეგვიფერხდებაო.

კარგა ხნის კამათის შემდეგ ხმის უმეტესობით კრებამ დაადგინა—პრინციპიალურად ცნობილ იქმნეს აზრი კომისიისა სკოლის სხვა ადგილზე გადატანის შესახებ სასურველად, ხოლო ზოგიერთი საკითხების გამორკვევა დაევალოს იმავე კომისიას. ამასთანავე ძველი კომისიის დასახმარებლად ამორჩეულ იქმნა სამი წევრი საზოგადოებისა—გ. დ. ჟურული, ზავაროვი და ქანანოვი. რადგანაც კრებას სკოლის შესახებ კიდევ დარჩა ერთი საგანი განსახილველი, ამიტომ კრების გაგრძელება დაინიშნა 4 მაისისთვის. კრება ღამის 12 საათზე დასრულდა.

---

# საღამოს დეპეშები

28 აპრილი

**პეტერბურგი.** შავი ჭირის საწინააღმდეგო კომისიისაგან: საექიმო საბჭომ, განიხილა რა ვლადიმაროვკაში, ტეკებაი ტუბეკში, მერეკში და კარაკუგში შეგროვილი მასალა გადამდებ სენთა შესახებ, იმ დასკვნას დაადგა, რომ წასრულ წლის დამლევსა და ამა მიმდინარე წლის დასაწყისში გავრცელებული ავადმყოფობა იყო ინდოეთის შავი ჭირი.

გენ. ვოლკოვის დეპეშა პორტ არტურიდან 17 აპრილს გამოგზავნილი: გენ. ცერპიცკის რაზმი 15 აპრილს მუკდენში დაბრუნდა; სინუზინტინში დროებით დატოვებულ იქმნა მეცხოვნე რაზმი, რომელს თან აქვს სამ გვარი საომარი იარაღი. მიწერ-მოწერისათვის გამართულია ჩინური სწრაფი ფოსტა და ქალაქ ინჰანში, შუა გზაზე, სდგას კიდევ რაზმი. დაჭრილები მუკდენში გადაიტანეს; მათგან პოდესაული ლეპეშინი გარდაიცვალა.

**მოსკოვი.** ვანოვსკიმ ინახულა სტუდენტების საერთო საცხოვრებელი სახლი, დაიარა ყველა ოთახები და ესაუბრა სტუდენტებს.

**პარიზი.** ბარცელონიდან მოსულ ცნობებით, სხვა და სხვა მოხერხებულ სტრატეგიულ ადგილებში ჯარებია დაყენებული. გუბერნატორმა ბრძანება გასცა დახურონ მუშათა საზოგადოებები. რკინის გზაზე მუშათა გაფიცვა არ მოსპობილა. აუარებელი მონაწილეები დაატუსაღეს. მომხდარ არეულობათა მეთაურებად ანარქისტებს ასახელებენ.

**ძლერაძსდორპი.** მეტუენი იტყობინება, რომ ბუისფონტენთან მან წაართვა ბურებს ზარბაზანი, რომელიც წინედ ბურებმა მოსტაცეს ინგლისელთ. ოთხი ბური მოკლულია, შვიდიც დატყვევებული. ბაბინგტონმა იპოვა მიწაში ჩაფლული ზარბაზანი ოთხის ყუმბარით.

**სიმლა.** მთავრობის განკარგულებით, ჰონკონგიდან დაუყონებლივ იგზავნება ინდოეთში ცხენოსანი პოლკი, ვეიხაივეიდან—ქვეითა ჯარის პოლკი და ტიანძინიდანაც—ქვეითი რაზმები. დანარჩენი ჯარებიც თანდათან გაიგზავნება.

**შანჰაი.** აქ ჩამოვიდა საფრანგეთის ელჩი ბო, რომელიც ახლა დაინიშნა პიშონის მაგიერ; ბო მალე მიდის პეკინში.—როგორც დაბეჯითებით ამბობენ, სიანფუში მხნედ დაუწყია მოქმედება რეაქციონერთა პარტიას, რომელსაც მეთაურობს საჭურისი ლინიენ-ინი და რომელსაც ხელს უწყობენ ლუნ-იალინი და იუნლუ. შიში აქვთ, რომ სასახლეში რევოლიუცია მოხდება. განზრახვა აქვთო, იმპერატორს ჩამოართვან სახელმწიფოს მართვა-გამგეობა.

**პეკინი.** ამერიკელებმა გაიყვანეს ჯარები იმ ადგილებიდან, რომელნიც მათ ზედამხედველობის ქვეშ იყვნენ; ჯარები დასტოვეს მათ მხოლოდ პეკინის აკრძალულ ნაწილში და, მიუხედავად სხვა სახელმწიფოთა პროტესტისა, იქ დარჩებიან, სანამ ახალს ბრძანებას არ მიიღებენ ვაშინგტონიდან. ის ადგილები, რომელნიც საზღვრავენ ინგლისელების მიერ დაჭერილ ადგილებს, გარდაეცა ინგლისელთ, დანარჩენები კი გერმანელთ.

**ვენა.** «Fremden Blatt» მსჯელობს საბერძნეთის და რუმინიის მომვრების აბბაციაში შეხვედრის შესახებ და საფუძვლიანად სთვლის რუმინის და საბერძნეთის პრესსის აზრს, რომ მთავართა შახვედრა უფრო მჭიდროდ დააკავშირებს ამ ორ სახელმწიფოთა ურთი ერთ შორის მეგობრულ განწყობილებასაო. ორ მეგობრულ სახელმწიფოს მთავართა შეხვედრაო, ამბობს გაზეთი, ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს. იგი არ არის გამოწვეული რაიმე ფარულ მიზეზებით, როგორც ერთ ნაწილს ბალკანეთის ჟურნალ გაზეთებს ჰგონია. ავსტრ-უნგრეთი ამ ფაქტს, როგორც ყოველივე მოვლენას, რომელსაც შეუძლიან განამტკიცოს ბალკანეთის სახელმწიფოთა შორის მეგობრული განწყობილება, უნდა სიხარულით შეეგებოს.

**ბერლინი.** „ნოვოე ვრემია“-ს შენიშვნაზე, რომ ოსმალეთის მისია ჩინეთში მომასწავებელია გერმანელების ახალი გამარჯვებისა ბოსფორზეო, „ბერლინერ ნეუესტე ნახრიხტენ“ ამბობს: „მისიის გაგზავნა ჩინეთში ადვილად აიხსნება იმით, რომ არაა-სოდეს არ შეწყვეტილა კავშირი ოსმალეთის მთავრობისა და ჩინელ მაჰმადიანთა შორის. მისია გაიგზავნა ჩინეთში იმიტომ, რომ კან სუში მოხდა მაჰმადიანთა აჯანყება, მაგრამ ეს საჭირო არ გამოდგა, რადგანაც აჯანყება უმნიშვნელო აღმოჩნდა. მისიის გაგზავნა დაგვიანდა, რადგანაც ნეთის საქმეები უკვე გაუმჯობესდა. ტომ გერმანიას არავითარი ინტერესი ჰქონდა მისიის გაგზავნაში. გერმანიის პლომატიის შესწავლობა კარგად ესმოდეთ ოსმალეთშიაც. ამიტომაც სავე, ვითომც მისიის გაგზავნას კავ ჰქონდეს გერმანიის ინტერესებთან“.

**კონსტანტინეპოლი.** ელჩებმა უკ დაუბრუნეს ოსმალეთის მთავრობას უ სკნელი ნოტა, რადგანაც უცხოელთა შ რაცმყოფელად ჩასთვალეს იგი; ნოტა ხოელ საფოსტო დაწესებულებათ კონ ბანდას სწამებსო. ელჩები უარს აცხად მიწერ-მოწერაზე და თხოულობენ უცხ საფოსტო დაწესებულებათა დაკმაყოფ ლებას.

**ვისბადენი.** გარდაიცვალა პრუსიის პ ცესსა ლუიზა.

| | |
|---|---|
| რედაქტორი | გამომცემელ |
| ალ. ჯეონია. | ალ. ჯაბადო |


# განცხადებანი
## ტფილისის ქალაქის გამგეობ

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რ 1899 წლის 28 იანვრის უმაღლესად ტკიცებულის მინისტრთა კომიტეტის დ გენილების თანახმად, ტფილისის ქალა საბჭო გამოსცემს ქ. ტფილისის მესამე ხის ობლიგაციებს 800,000 მანათისას; თო ობლიგაცია ღირს 100 და 1000 მ თი და 5%-ი სარგებელი მოაქვს, რომ დანაც გამოკლებული იქნება მხოლ სახელმწიფო გარდასახადი. ობლიგაცი უსახელოც იქნება (წარმომდგენელზე) სახელ-გვარის წარწერითაც. ობლიგაციე გაბათილება მოხდება 25 წლის განმავ ბაში, 1901 წლის 1-ლ აგვისტოდან დ ყებული, ყოველ 6 თვის შემდეგ, ხო გაბათილებულ ობლიგაციის ღირებულ პატრონს დაებრუნება გაბათილების მოს ნის 3 თვის შემდეგ. ობლიგაციებში კუპონებში ფულის მიცემა მოხდება ხოლ გამგეობის სადგომში და აგრეთვე იმ ად ლებში, რომელთაც გამგეობა ცალკე გ ცხადებებში აღნიშნავს.

200 ათას მანეთის ღირებულობის ობ გაციების განაღდება მოხდება საჯარო ვ რობით, რომელიც გაიმართება შემდ პირობებით: 1) ობლიგაციებზე ხელის მ წერა მიიღება ტფილსში: საქალაქო გამ ობაში, საკომერციო ბანკში და სა რთიერთო ნდობის საზოგადოებ ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, მაისიდან 8-მდე. 2) ყოველი ას-მანათიანი ო ლიგაცია ეღირება 91 მან. 50 კ.; 3) ლის მოწერის დროს უნდა გადახდილ მნას 10% იმდენ ობლიგაციების ფასისა, მდენიც მსურველს განუზრახავს შეიძინ 4) თუ ხელის მოწერის დროს ვინმემ მ სურვა 200.000 მანეთზე მეტ ობლიგაც ბის შეძენა, იმ შემთხვევაში მოხდება გ წილება, ისე რომ 2000 მანეთის ობლ ციების შეძენის მსურველნი სრულად ნებიან დაკმაყოფილებულნი და შემდ რაც დარჩება, გაინაწილება მეტ ობლ ციების შეძენის მსურველთა შორის; ობლიგაციის ღირებულობის დანარ (90%) ფასი მყიდველმა უნდა შეიტან ობლიგაციების განაწილების შემდეგ, უგვიანეს ამა წლის 15 მაისისა და მათ მ ლოდ მაშინ მიეცემათ ობლიგაციები. ვინც დანიშნულ დროზე არ შეიტანს ყიდ ობლიგაციების დანარჩენ ფასს, ის რგავს იმ 10%-საც, რომელსაც გადიხ ხელის მოწერის დროს; ეს 10% ქალა სასარგებლოდ დარჩება. 7) პროცენტ ანგარიში იწყება 1901 წლის 1-ლ მაის დან.

(ნ. 3—1)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 Апрѣля 1901 г.

სტამბა ქართ. ამხ—ბისა, ვახქის დიდი ქუჩა, № 27